

განხილული და დამტკიცებულია
აკადემიური საბჭოს სხდომაზე
ოქმი #04 15.04.2009.

წარდგენილია ხარისხის
უზრუნველყოფის სამსახ
მიერ

სასწავლო კურსის სტატუსი:

მიმართულება: სოციალური მეცნიერებანი, ბიზნესი და
სამართალმცოდნეობა.

სპეციალობა: სამართალი.

ქვესპეციალობა: სამართალმცოდნეობა
ბაკალავრიატი

სილაბუსი ინგლისური ენა

- კურსის დასახელება: ინგლისური ენა
- სასწავლო კურსის კოდი:
- სასწავლო კურსის სტატუსი: კურსი სავალდებულოა, განკუთვნილია ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის.
- სასწავლო კურსის ხანგრძლივობა: 2 სემესტრი.
- სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა – ESTS: 10 კრედიტი = 250 სთ (საკონტაქტო მეცადინეობების რაოდენობა შეადგენს 90 სთ; დამოუკიდებელი მუშაობა = 160 სთ; სულ: 250 სთ = 10 კრედიტი).
- ლექტორი: ლელი ბიწაძე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი. ტელ. 30-28-41
- სასწავლო კურსის მიზანი: სასწავლო კურსის მიზანია ჩამოუყალიბოს სტუდენტებს ინგლისურ ენაზე მეტყველების უნარი, რათა მათ შეძლონ როგორც ლიტერატურულ, ისე სპეციალურ ტექსტებზე დამოუკიდებლად მუშაობა, საყოფაცხოვრებო და პროფესიულ თემებზე თავისუფლად საუბარი, ინტერნეტ-სტატიებიდან თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის სიახლეების დროულად გაცნობა, მსოფლიო საინფორმაციო რესურსებით სარგებლობა და პროფესიული საქმიანობისთვის საჭირო საკითხებში გარკვევა.
- სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობები: მოცემული კურსის ათვისებისათვის საჭიროა სტუდენტებს სკოლაში ჰქონდეთ გავლილი საშუალო სკოლის პროგრამით გათვალისწინებული ინგლისური ენის სრული კურსი.
- სასწავლო კურსის ფორმატი: ლექციები და სემინარები, მეცადინეობა არის ჯგუფური. სწავლების პროცესი მოიცავს შემდეგი სახის სამუშაოს: თარგმნა, მოკლე ინფორმაციის ან ში.აარსის გადმოცემა, ესაბამივი გრამატიკური მასალის დამუშავება და სავარჯიშოების გაკეთება.
- სასწავლო კურსის შინაარსი: შესავალი კურსი ითვალისწინებს საშუალო სკოლაში შესწავლილი მასალის გამეორებას და განმტკიცებას. ყურადღება გამახვილებულია ყოფილდღიურად სახმარი სიტყვების ათვისებაზე, ორთოგრაფიული ნიშნების, ინგლისური ენისათვის დამახასიათებელი ბგერების, ასოთა კომპლექსების, სიტყვათა წარმოთქმის და ა. შ. შესწავლაზე.

შენიშვნა: სასწავლო დისციპლინაში განსახილველ თემებზე საათობრივი განწილება მოხდება სტუდენტთა მიერ სასწავლო მასალის უკეთ ათვისების, სასწავლო პრიცესის სრულყოფის და სასწავლო დისციპლინისთვის განსაზღვრული კრედიტების სრული ათვისების პრინციპებიდან გამომდინარე.

ძირითადი კურსი გულისხმობს ტექსტების დამუშავებას. აქ გათვალისწინებულია ტექსტების კითხვა, თარგმნა, მოკლე ინფორმაციის ან შინაარსის გადმოცემა. აქვე ხდება შესაბამისი გრამატიკული მასალის დამუშავება და სავარჯიშოების გაკეთება. სიტყვათწარმოება ითვალისწინებს მეტყველების ერთი ნაწილიდან მეტყველების სხვა ნაწილის წარმოებას სუფიქსებისა და პრეფიქსების გამოყენებით. ასევე უნდა შევასწავლოთ სტუდენტებს ორი სხვადასხვა ფუძის გამოყენებით ახალი სიტყვების შედგენა. გრამატიკული მასალა უნდა შერჩეული იქნას ისეთნაირად, რომ სტუდენტს არ გაუძნელდეს სპეციალური ლიტერატურის კითხვა და გაგება. გრამატიკული სავარჯიშოები აუცილებელია თეორიულად შესწავლილი მასალის განსამტკიცებლად. მათი საშუალებით სტუდენტს უყალიბდება სწორი მეტყველების ჩვევა, რაც სხვა ფაქტორებთან ერთად აუცილებელია სწავლების ეფექტურობის

ამაღლებსათვის. ლექსიკის შესწავლა ითვალისწინებს შემდეგ გარემოებებს: თითოეული ტექსტის შესწავლა ხდება მისი ლექსიკური მასალის ათვისებით. საჭიროების შემთხვევაში შერჩეული ტექსტები უნდა გაიოლდეს და დალაგდეს სირთულისა და თემატიკის მიხედვით. სავარჯიშოები უნდა ეფუძნებოდეს ტექსტის ლექსიკურ და ნაწილობრივ განვლილ მასალას (შესწავლილის განმტკიცების მიზნით).

სპეციალური ტექსტების შესწავლა ხდება სპეციალობის შესაბამისი წიგნებიდან და ჟურნალ-გაზეთებიდან. უცხო ენის შესწავლის მთავარი მიზანია სპეციალური ლიტერატურის კითხვის ჩვევების გამომუშავება და საუბრის წარმოება სპეციალობის ორგელივ. სპეციალური ლიტერატურის კითხვა, რა თქმა უნდა, დაკავშირებულია სტუდენტის მიერ შესაბამისი გრამატიკული და ლექსიკური მასალის შეთვისებასთან. ამიტომ ვაკეთებინებთ სტუდენტებს ლექსიკურ და გრამატიკულ სავარჯიშოებს და მოვითხოვთ სპეციალური ტექსტის არა მხოლოდ კითხვასა და თარგმნას, არამედ მისი შინაარსის გადმოცემას და ტერმინოლოგიის შესწავლას, იმავე ტერმინების გამოყენებას სხვა კონტექსტში და ფრაზებში.

დიალოგების შერჩევა ხდება სიტუაციების შესაბამისად. თემატიკური დიალოგები ითვალისწინებს სასაუბრო თემების დამუშავებას, აადვილებს საუბარს საყოფაცხოვრებო და სტუდენტთა საქმიანობასთან დაკავშირებულ თემებზე.

დამატებით საკითხავ მასალად შერჩეულია ძირით დად სოციალურ-ეკონომიკური ტექსტები. ისინი აგებულია განვლილ ლექსიკურ მასალაზე. ასევე არის უფრო რთული სახის საკითხავი მასალაც. აგრეთვე ისწავლება იურიდიული მეცნიერების განვითარების ისტორია და პოპულარული სტატიები ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებით. საქართველოსა და ინგლისურენოვანი ქვეყნების შესახებ ყველა სახის ინფორმაცია მიეწოდებათ სტუდენტებს, რათა შეძლონ უცხო ენაზე ქვეყნის ისტორიისა, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თუ იურისპრუდენციის შესახებ საუბარი. მზარდი საერთაშორისო კონტაქტები მოითხოვს ინგლისურენოვანი ქვეყნების შესახებ გარკვეული ინფორმაციის ცოდნას. ამასთან დაკავშირებით სტუდენტებს ვაწვდით ცნობებს ამ ქვეყნების ისტორიის, ტრადიციებისა და განვითარების შესახებ.

საგაზეთო და ინტერნეტ-სტატიების შესწავლა აუცილებელია სტუდენტებისათვის თანამედროვე ინფორმაციების გაცნობის მიზნით, რათა მათ ჩამოუყალიბდეთ თანამედროვე იურიდიული მეცნიერების სიახლეების დროულად გაცნობის ჩვევები.

განვლილი მასალის გამეორება აუცილებელია უკვე შესწავლილი მასალის განმტკიცების მიზნით. ამავე დროს ხდება სტუდენტის მიერ გამოტოვებული მასალის ათვისებაც. სასწავლო კურსი მოიცავს შემსდგ ნაწილებს:

შესავალი კურსი: ნასწავლი მასალის გამეორება და გამტკიცება.

ძირითადი კურსი: სპეციალურ თემატიკასთან დაკავშირებული ტექსტის ინგლისურ ენაზე მოსმენით აღქმა; სპეციალური ტექსტის წერითი თარგმანი ლექსიკონის გამოყენებით, მოკლე შინაარსის გამოტანით; სასწავლო ტექსტებზე მუშაობა ხდება გრამატიკული და ლექსიკური ასპექტების გათვალისწინებით.

გრამატიკული მასალა: კორექციული ფონეტიკა; თეორიული გრამატიკა; სავარჯიშოები.

ზეპირმეტყველება: სპეციალობასთან დაკავშირებული საკითხის ირგვლივ საუბრის წარმართვა ინგლისურ ენაზე; ზეპირმეტყველების უნარების დაუფლება აუდირების საშუალებით; დიალოგი; მონოლოგი; კითხვები; იმ ლექსიკისა და გრამატიკული კონსტრუქციების გამოყენება, რომლის მოცულობა და შინაარსი განსაზღვრულია.

პრაქტიკული მეცადინეობა: ტექსტის კითხვა; მის ირგვლის საუბარი; კითხვების დასმა; შინაარსის გადმოცემა; სიტუაციური დიალოგის წარმართვა; კარნახი; ინგლისურიდან ქართულად და ქართულიდან ინგლისურად მარტივი ტექსტების თარგმნა; ლექსიკური და გრამატიკული სავარჯიშოები.

სასაუბრო თემები: უცხო ენაზე ქვეყნის ისტორიისა თუ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შესახებ საუბარი. ცნობები ინგლისურენოვანი ქვეყნების ისტორიის, ტრადიციებისა და განვითარების შესახებ.

დამატებითი მასალა: საგაზეთო და ინტერნეტ-სტატიები; მუშაობა როგორც სპეციალური, ისე არასპეციალური სახის ლიტერატურაზე; სტუდენტის მიერ საჭირო ინფორმაციის მიღებისა და გადაცემის უნარის გამომუშავება.

ნასწავლი მასალის გამეორება: შესწავლილი მასალის გამეორება განმტკიცების მიზნით; პარალელურად სტუდენტის მიერ გამოტოვებული მასალის ათვისება.

• **სავალდებულო ლიტერატურა:**

- Гуманова Ю.Л., Королева В.А. и др. Just English. Английский для юристов. учебн. посоч. М., 2001
- E. Frank Cfindlin. New Present Day English

ბიბლიოთეკაში არსებული პერიოდიკა:

- საქართველოს ეკონომიკა
- სოციალური ეკონომიკა: XXI საუკუნის პრობლემები
- 24 საათი

- ბიზნესი და კანონმდებლობა
- გადასახადები და აღრიცხვა
- საქართველოს საკანონმდებლო მაცნე
- საერთაშორისო საბიბლიოთეკო ქსელი
- ეროვნულ ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდი
- **რეკომენდებული ლიტერატურა:**
- ენუქიძე რ. , ჯაში თ. , ბოცვაძე ც. , ჩხეიძე თ. ბიზნესის ენა სტუდენტებისათვის. თსუ, 2005.
- ბიწაძე ლ. , გურუშიძე თ. , ზონენაშვილი ი. საკითხავი წიგნის ინგლისურ ენაში ეკონომისტებისათვის. თბ. , 2005.
- ჯაყელი მ. საკითხავი წიგნი სამართლის შემსწავლელი სტუდენტებისათვის. თბ. , 1998.
- Paul Emmerson. Business Grammar Builder. Macmillan, 2005.
- N. Gregory Mankiw. Principles of Economics. Thomson, South-Western, 2005.
- Nivil and Public Law, London, 2004.
- Betty Shramper Azar. Understanding and Using Grammar, New Jearsey, 1998.
- The World Book, Year Book, 1997-2004.
- Georgia Today.
- Georgian Times.
- **ცოდნის შეფასება:**

ჯამური (საბოლოო) ნიშანი = 100 ქულა

1. სწავლისა და სწავლების მეთოდები:
საგნის შესასწავლად გამოყენებული იქნება სიტყვიერი, თვალსაჩინოების, პრაქტიკული, წიგნზე მუშაობის მეთოდები. სწავლების ტიპებიდან კი განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა პირდაპირი სწავლების, გამოკვლევის, კოლექტიური (ჯგუფური) შესწავლის მეთოდებს. სტუდენტებს ჩაუტარდებათ ლექციები, სემინარული მეცადინეობები და გამოცდები (შუალედური და საბოლოო).
- 1.1. ლექცია - ა) ლექციის მიმდინარეობის დროს გარკვეული დრო დაეთმობა თეორიული და პრაქტიკული მასალის შესწავლას. (ლექციის ბოლოს 10 წუთის განმავლობაში სტუდენტებს მიეცემათ საშუალება დასვან შეკითხვები მათთვის საინტერესო საკითხებზე). ბ) სტუდენტები მონაწილეობას მიიღებენ კოლექტიურ დისკუსიებში.
- 1.2. სემინარული მუშაობა - ა) ლექციაზე განვლილი მასალის გამოკითხვა, ბ) სტუდენტებს დაურიგდებათ კონკრეტული საკითხები, ტესტები უშუალოდ ლექციის თემატიკასთან და განვლილ მასალასთან დაკავშირებით (2 გვერდის მოცულობით).
- 1.2.1 პრაქტიკული შემთხვევები - სტუდენტები განიხილავენ პრაქტიკულ კაზუსებს, საქართველოს უზენაესი და სხვა სასამართლოს ცნობილ გადაწყვეტილებებს.
- 1.2.2. იმიტირებული სასამართლო პროცესი - იმიტირებული სასამართლო პროცესი უნდა განხორციელდეს (ერთხელ) სემესტრის ბოლოს, მას შემდეგ რაც სრულყოფილად მოხდება საპროცესო კანონმდებლობის სრულყოფილად შესწავლა
- 1.3. გამოცდები - კურსის მიმდინარეობისას ჩატარდება შუალედური და დასკვნითი გამოცდა. გამოცდა ჩატარდება წერითი ან ზეპირი ფორმით. წიგნებისა და სხვა ნაბეჭდი მასალის გამოყენება აკრძალულია.

გამოცდაზე დაშვების წინაპირობა: სტუდენტის სემესტრული მუშაობის შეფასება არ უნდა იყოს 11%-ზე ნაკლები (მაქს. შესაძლებელი 60%-დან)

- 1.3.1. პირველი რეიტინგული წერა (კოლოქვიუმი - შუალედური გამოცდა) - ჩატარდება წერითი ან ზეპირი ფორმით სწავლების მე-9 კვირას საკონტაქტო მეცადინეობებისგან თავისუფალ პერიოდში. წიგნებისა და სხვა ნაბეჭდი მასალის გამოყენება აკრძალულია.
- 1.3.2. მეორე რეიტინგული წერა (კოლოქვიუმი - შუალედური გამოცდა) - ჩატარდება წერითი ან ზეპირი ფორმით სწავლების მე-11 კვირის განმავლობაში. წიგნებისა და სხვა ნაბეჭდი მასალის გამოყენება აკრძალულია.
- 1.3.3. საბოლოო გამოცდა - ჩატარდება წერითი ან ზეპირი ფორმით. წიგნებისა და სხვა ნაბეჭდი მასალის გამოყენება აკრძალულია.

2 ცოდნის შეფასების ფორმები და კრიტერიუმები

ჯამური ნიშანი	-	100% (მაქს. ქულა).
სემინარული მეცადინეობები	-	20% (მაქს. ქულა).
პირველი რეიტინგული წერა	-	10% (მაქს. ქულა).
(კოლოქვიუმი - შუალედური გამოცდა)		
მეორე რეიტინგული წერა	-	20% (მაქს. ქულა).
(კოლოქვიუმი - შუალედური გამოცდა)		
საბოლოო გამოცდა	-	40% (მაქს. ქულა)

2.1. სემინარული მეცადინეობები - 20% (მაქს. ქულა). სემინარული მეცადინეობა ჩატარდება დებატებში მონაწილეობის სახით. სტუდენტებმა უნდა განიხილონ და შეაფასონ კეისები, ჩაატარონ სიტუაციური ანალიზი და გააკეთონ დასკვნები. ლექტორის გადაწყვეტილებით სტუდენტებს შეიძლება დაევალოთ ინდივიდუალური არგუმენტირებული ნარკვევის (4 გვ., შრიფტი 12; 1,5

